

ქ. თბილისი

16 თებერვალი 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ს/კ N211333957 (თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. N144; საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ზ/კ TRESGE22; ა/ა 200122900) მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ: საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი „კათარზისი“ ს/კ 201954466 (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 121. რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ცენტრ. ფილიალი, კოდი BAGAGE22, ანგ. N GE62BG000000299506400) პრეზიდენტის ზაურ ალადაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, „2013-2014 წლების ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1946 განკარგულების საფუძველზე შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის, 2013 წლის 13 დეკემბრის ოქმი N1-ისა და 2014 წლის 9 იანვრის N5 ოქმის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ასიგნებების ფარგლებში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით, სოციალური მომსახურების (CPV კოდი 85320000) შესყიდვაზე, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება განახორციელოს მომსახურება არაუმეტეს 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. მიუსაფარი მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ღირებულება ერთ პირზე ერთი დღის განმავლობაში შეადგენს არაუმეტეს 6 (ექვსი) ლარს.

3.2. კარვებში განთავსებული მოსახლეობის მომსახურება მოიცავს: დღის განმავლობაში ორჯერად კვებას; საყოფაცხოვრებო ნივთებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფას; 24 საათის განმავლობაში ადმინისტრაციულ კონტროლსა და სანიტარულ მომსახურებას.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1. მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება განახორციელოს მომსახურება 2014 წლის 16 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

4.2. მომსახურება განხორციელდება ქ. თბილისში მოსკოვის პროსპექტის მიმდებარედ სპეციალურად მოწყობილ დროებით თავშესაფარში (კარვებში).

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ;

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია (ბენეფიციართა რაოდენობის, სახელისა და გვარის ასევე პირადი ნომრის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაწეული მომსახურების შესახებ;

6.3. 6.2. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადდება წერილობითი დასკვნა, რაზედაც მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.3. საკვები პროდუქტების მოწოდება მოახდინოს მოქმედი ნორმების სრული დაცვით;

7.1.4. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები მომსახურების განხორციელების ადგილზე.

7.1.5. მომსახურების გაწევის პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას 4.3 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებისას გამოვლენილი ხარვეზები, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების პერიოდში საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.

7.2.3. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზის გამოვლენის შესახებ.

7.2.4. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადეკვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2.5. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

8.2.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვის ვადით, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკებით შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან/და არაჯეროვნად შესრულების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველ გამოვლენილ შემთხვევაზე ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 1% ოდენობით.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორები: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციის კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის კატასტროფების მართვის სამმართველოს უფროსი ზვიად ჟიჟილაშვილი და სოციალური დაცვის დეპარტამენტის პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ნინო შალვაშვილი.

